სსიპ - ფინანსთა სამინიტროს აკადემიის საქმიანობის შესახებ 2013 წლის ანგარიში

- პროფესიული განვითარებისა და გამოცდილების გაღრმავების მიზნით სასწავლო კურსები გაიარეს ფინანსთა სამინისტროს სისტემის 375-ზე მეტმა თანამშრომელმა;

ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ სამინისტროს სისტემის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ფინანსთა სამინსიტროს სისტემის თანამშრომლებისთვის განხორციელდა შემდეგი სასწავლო პროგრამები:

- „მენეჯმენტი და დროის მართვა“, (ფინანსთა სამინისიტროს მომსახურების სააგენტოს საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერებისათვის ზოგადი მენეჯმენტისა და დროის მართვის სფეროში)
- „მარკეტინგი და გაყიდვების ტექნიკა“(ფინანსთა სამინისიტროს მომსახურების სააგენტოს მარკეტინგისა და ინოვაციების სამსახურის თანამშრომლებისათვის)
- „ადამიანური რესურსების მართვა“ (ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, მომსახურების სააგენტოს და ფინანსთა სამინისტროს აკადემიის თანამშრომლებისათვის)
- „პროექტების მართვა“ (მომსახურების სააგენტოს და ფინანსთა სამინისტროს აკადემიის თანამშრომლებისათვის)
- „ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება“ (მომსახურების სააგენტოს საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერებისათვის)
- „ეფექტური კომუნიკაცია“ (ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, სახაზინო და შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისათვის)
- „ფინანსთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის განხილვა“ (სამუშაო შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის განხილვა, რეკომენდაციების შემუშავება/ გაზიარება და დოკუმენტების ერთიანი სახით ჩამოყალიბება)
- „მხარჯავი დაწესებულების საბიუჯეტო განაცხადის წარდგენისათვის ელექტრონული პროგრამის გაცნობისა და პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია“(ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული სამსახურის, ფინანსთა სამინისტროს აკადემიის, შემოსავლების სამსახურის,საბიუჯეტო დეპარტამენტის, სახაზინო სამსახურის, საფინანსო ანალიტიკური სამსახურის, მომსახურების სააგენტოს და საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელთა მიერ პროგრამული ბიუჯეტის განხილვა.
- „ტრეინერთა ტრეინინგი“ (შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომლებისა და ფინანსთა სამინისტროს აკადემიის წარმომადგენლებისთვის)
- ფინანსთა სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურის მაღალი და საშუალო რგოლის მენეჯერებისათვის ფინანსთა სამინისტროს აკადემიამ ბრიტანულ საერთაშორისო კომპანია JTI-სთან (Japan Tobacco International) ერთობლივად განახორციელა სამუშაო შეხვედრა თემაზე „თამბაქოს ხელმისაწვდომობა და დაბეგვრა“. სამუშაო შეხვედრის მიმდინარეობისას განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: სხვადასხვა სააქციზო სისტემები და მათი მუშაობის სპეციფიკა; მეზობელი ქვეყნების სააქციზო სისტემები (სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთისა და რუსეთის მაგალითებზე ასევე განხილული იქნება უკრაინის, მოლდოვისა და ყაზაყეთის პრაქტიკა); ევროკავშირის ნეგატიური სააქციზო გამოცდილება. აქციზის არასწორად

გამოყენებასთან და არალეგალურ ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები (ბალტიის პირეთის, უნგრეთის, რუმინეთისა და დიდი ბრიტანეთის მაგალითების მიხედვით).

- ფინანსთა სამინისტროს აკადემიამ „საზღვრის ერთიანი მართვის პროექტი საქართველოსა და სომხეთში“ Integrated Border Management Program, UNDP Georgia პროექტთან თანამშრომლობით განახორციელა სემინარი თემაზე: „ინტელექტუალური საკუთრების უფლება“, სადაც მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია ინტელექტუალური საკითხების დაცვის ევროპულ სტანდარტებთან დაკავშირებით, ასევე, საერთაშორისო შეთანხმებებსა და საერთაშორისო ურთიერთობებზე (მადრიდის პროტოკოლი და სხვა). ინტელექტუალური საკითხების მიმართულებით ევროპის რეგულაციებზე, მის ასპექტებზე და რისკის შემცველ ნივთიერებებზე.
- „მაკროეკონომიკური მოდელებისა და საბიუჯეტო ოფისის როლი საპარლამენტო პროცესებში“ პროექტი განხორციელდა სს ლუის ბერგერის მიერ განხორციელებული და ევროგაერთიანების მიერ დაფინანსებული „სახელმწიფო ფინანსების მართვის მონიტორინგის პროექტის“ მხარდაჭერით. პროექტის მიზანს წარმოადგენდა პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტისა და ფინანსთა სამინისტროს ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის საბიუჯეტო პროცესში საბიუჯეტო ოფისის როლის გაცნობა. ინფორმაციის მიწოდება ამ მიმართულებით მაკროეკონომიკური მოდელირების თანამედროვე ტექნიკებსა და მის გამოყენებაზე.
- „ევროკრიზისის დასაძლევად დღემდე განხორციელებული ეკონომიკურ-პოლიტიკური ღონისძიებების ანალიზი“ სასწავლო პროგრამის მიზანს წარმოადგენდა მსმენალებისთვის ევროზონაში ეკონომიკური გარემოებების პოლიტიკური და ეკონომიკურ გარემოებების მონეტარულ პოლიტიკას და ინფლაციის, ასევე, იმ მიზეზების გაცნობა რატომ განიცდის ევრო დიდ კრიზისს და კონვერტაციის გაზომვის სისტემებს.
- „ადგილობრივი თვითმართველობის ფინანსური საფუძვლები-გერმანიის გამოცდილების მიხედვით“ მსმენელები გაეცვნენ გერმანიის ფისკალური ფედერალიზმის თეორიას, პრაქტიკულ მაგალითებს, ფისკალური ანალიზის სახელმძღვანელოებს.
- „აქტუალური საგადასახადო რეფორმები საერთაშორისო ჭრილში(აშშ, კანადა, შვეიცარია, გერმანია, ავსტრია, რუსეთი)“ სასწავლო კურსის მიზანს წარმოადგენდა მსმენელთა გაცნობა 6 ქვეყნის საგადასახადო სისტემაზე, გლობალიზაციის გავლენასა და საგადასახადო მიმართულებით განხორციელებულ რეფორმებზე.
- "მებაჟეთა მომზადება-გადამზადების სასწავლო პროგრამა - ოზონდამშლელი ნივთიერებები და მათი იდენტიფიცირება" ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა მებაჟეების უნარების გაძლიერება მონრეალის ოქმთან დაკავშირებულ საქმიანობაში, რაც გულისხმობს ოზონდამშლელი ნივთიერებების იდენტიფიცირებას, მათი შემადგენლობის დადგენას, ასევე იმ აღჭურვილობების კონტროლის გაძლიერებას, რომლებშიც გამოიყენება ოზონდამშლელი ნივთიერებები. ასევე, შესაბამის სფეროში კონტრაბანდული საქმიანობის აღმკვეთი ღონისძიებების გაძლიერებას.
- ტრეინინგი თემაზე: „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით შთანხმების გამოყენება“
- მსმენელები გაეცვნენ ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შეთანხმებას და კანონმდებლობას, მუდმივი დაწესებულების ძირითად წესებს, ბიზნესის მოგებას, გადასახადის გადაუხდელობის აღკვეთის ზომებს.

- ქვეყანაში საფინანსო-საბიუჯეტო მიმართულებით რეფორმების (სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა) განხორციელების ხელშეწყობის მიზნით აკადემიაში განხორციელდა საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების თანამშრომლეთა გადამზადება. სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულებების, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებისათვის განხორციელდა ტრეინინგ-პროგრამები: „სახელშეკრულებო სამართალი“, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება“, საჯარო ფინანსების მართვა“, „პროექტების მართვა“, „ადამიანური რესურსების მართვა“, საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტერია“; „მაკროეკონომიკური მოდელირებისა და საბიუჯეტო ოფისის როლი საპარლამენტო პროცესებში“. ჯამში აკადემიის მიერ გადამზადებულ იქნა ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების 638 თანამშრომელი.

- აკადემიის, გერმანიის საერთაშორისო ორგანიზაციასა (GIZ) და ჰარმონიზაციის ცენტრთან თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შიდა აუდიტორების გადამზადების მიზნით განხორციელდა სასწავლო კურსები:
  - „შიდა კონტროლის საფუძვლები“
  - „შიდა აუდიტის გაძლიერებული კურსი“
  - „კორუფციისა და თაღლითობის პრევენცია“
  - „საინფორმაციო ტექნოლოგიების აუდიტი“

აღნიშნული მიმართულებით გადამზადდა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების 110 თანამშრომელი

- დაინტერესებული ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის ჩატარდა სასწავლო კურსები: „საგადასახადო ადმინისტრირება“, „გრანტის წერის საფუძვლები“, „საგადასახადო კანონმდებლობა და ადმინისტრირება“ და „საგადასახადო აუდიტი და აუდიტის განხორციელების პროცედურები“, კერძო სექტორიდან აკადემიაში მომზადება 196-მა პირმა გაიარა;

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ინსტიტუტის ეგიდით აკადემიაში 2013 წლის განმავლობაში განხორციელდა ორი რეგიონალური კურსი. სემინარში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, თურქეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები. ასევე, საქართველოს ფინანსთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების, ეროვნული ბანკისა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანამშრომლები. მონაწილეები დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში ასევე გაეცნენ საქართველოში განხორციელებულ რეფორმებს. მონაწილეთა რაოდენობა - 55 მსმენელი.

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში არსებული წარმატებული პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, აკადემიამ ყირგიზეთის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებს უმასპინძლა. ერთ კვირიანი ინტენსიური სწავლების ფარგლებში, მონაწილეებმა პროფესიული მომზადება ფისკალური პროგნოზირებისა და დაგეგმვის მიმართულებებით გაიარეს. ტრეინინგში ყირგიზეთის ფინანსთა სამინისტროს 10 წარმომადგენელი მონაწილეობდა.

- აკადემიის ორგანიზებით ფინანსთა სამინისტროსთვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის განხორციელებული კადრების შერჩევის და არსებული თანამშრომლების შეფასების პროცესები, სადაც მონაწილეობა მიიღო 1549 პირმა:

  - აკადემიის მიერ 2013 წელს განხორციელდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის საჯარო მოხელეთა შესარჩევი კონკურსები . მონაწილე კანდიდატთა რაოდენობა ჯამში შეადგინა 654 კანდიდატი.
  - კონკურსები ასევე განხორციელდა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის და ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის სამსახურის სტაჟიორთა შერჩევის მიზნით. კანდიდატების რაოდენობა - 703

  - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საჯარო მოხელეთა ატესტაცია - 75 თანამშრომელი;
  - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საჯარო მოხელეთა კონკურსი - 43 კანდიდატი;
  - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ტექნიკური ზედამხედველობის ლაბორატორიის კონკურსი - 20 კანდიდატი;
  - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს კონკურსი - 40 კანდიდატი;
  - მუნიციპალური განვითარების ფონდის 14 საშუალო რგოლის მენეჯერის შერჩევა .

- შემოსავლების სამსახურთან თანამშრომლობით, აკადემიამ ჩაატარა ორი ტესტირება, საგადასახადო კანონდებლობის მიმართულებით, ალტერნატიულ აუდიტში ჩართული და ჩართვის მსურველი პირებისათვის, სადაც მონაწილეობა 1250-მა პირმა მიიღო .

დასახული საბოლოო შედეგები:

- ფინანსთა სამინისტროს სისტემის საკადრო რესურსის გაძლიერება და მათი მუშაობის ეფექტიანობის ზრდა.
- სახელმწიფოს საფინანსო, საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის სწორად იმპლიმენტირება საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციებში.
- რეგიონალურ ჭრილში საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების (ტრეინინგები, სემინარები და ა.შ.) განხორციელება.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- განხორციელდა ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, სწავლებისა და პროფესიული მომზადების მიმართულებით (ტრეინინგები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები და ა.შ.).
- ფინანსთა სამინისტროში არსებული მიდგომებისა და მიმდინარე საკანონდებლო ცვლილებების სწორად იმპლიმენტირების მიზნით, ჩატარდა სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ტრეინინგები (საფინანსო, საბიუჯეტო და საგადასახადო მიმართულებებით).

- მხარჯავი დაწესებულებების შიდა კონტროლის სწორად წარმართვის ხელშეწყობის მიზნით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციასა (GIZ) და ჰარმონიზაციის ცენტრთან თანამშრომლობით ჩატარდა ცენტრალური სახელმწიფო უწყებების შიდა აუდიტის წარმომადგენელთა ტრეინინგები უცხოელი ექსპერტების ჩართულობით.
- ფინანსთა სამინისტროს რეფორმების პრაქტიკაში წარმატებით დანერგვისა და ბიზნეს სექტორის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა კერძო სექტორის წარმომადგენელთა მომზადება/გადამზადება - საგადასახადო კანონდებლობისა და აუდიტის მიმართულებებით;
- საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ინსტიტუტთან თანამშრომლობით აკადემიაში განხორციელდა ორი რეგიონალური კურსი. სასწავლო პროგრამებში ქართველ კოლეგებთან ერთად: აზრებაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, ყირგიზეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთისა და თურქმენეთის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ვიზიტის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ საქართველოს სახელმწიფო სექტორში განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებსაც.
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ფისკალური პროგნოზირებისა და დაგეგმვის მიმართულებით არსებული პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, ჩატარდა ყირგიზეთის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლების ტრეინინგები.
- ფინანსთა სამინისტროს სისტემისა და სხვა დაინტერესებული საბიუჯეტო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის, განხორციელდა კონკურსები - არსებული თანამშრომლების შესაძლებლობების შეფასების, ახალი კადრებისა და სტაჟიორების შერჩევის მიზნით;
- ალტერნატიულ აუდიტში ჩართვის მსურველ პირთა ობიექტურად შერჩევისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შემოსავლების სამსახურის მოთხოვნების შესაბამისად, ჩატარდა ალტერნატიული საგადასახადო შემოწმების განმახორციელებელ პირთა შესარჩევი ტესტირება.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

- სხვადასხვა მიმართულებით გადამზადდა და კვალიფიკაცია აიმაღლა ფინანსთა სამინისტროს სისტემის 375-მა თანამშრომელმა;
- სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან გადამზადდა 748 დაინტერესებული პირი.
- ბიზნეს სექტორისათვის დაგეგმილ კურსებში სხვადასხვა კერძო ორგანიზაციებიდან განხორციელდა 196 პირის ტრეინინგები;
- საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ინსტიტუტთან თანამშრომლობით, 9 ქვეყნიდან აკადემიაში სწავლება 55-მა წარმომადგენელმა გაიარა. საერთშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან, ორივე განხორციელებულ კურსზე გაკეთდა დადებითი შეფასება. 2014 წელს დაიგეგმა 3 დამატებითი რეგიონალური კურსი.
- აკადემიაში სწავლება გაიარა ყირგიზეთის ფინანსთა სამინისტროს 10-მა თანამშრომელმა.
- აკადემიის მიერ ჩატარებული კონკურსების ფარგლებში მოხდა 1549 პირის შესაძლებლობების შეფასება.
- ალტერნატიული საგადასახადო შემოწმების განმახორციელებელ პირთა შესარჩევი ტესტირება ჩატარდა 1250 პირისათვის.